18/07/26-01

ხელშეკრულება

ქ. თბილისი 26 ივლისი, 2018 წ.

ერთის მხრივ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ფორმატი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ გუგუნაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-2 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტი.
1.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საკანცელარიო ნივთები დანართი №1 შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი მასალა-CPV 22800000).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეადგენს დღგ-ს გათვალისწინებით არა უმეტეს 226.45 (ორასოცდაექვსი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარს (191.91 ლარი დღგ-ს გარეშე)

3. შესყიდვის ობიეტის ხარისხი და გარანტია

3.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი იქნება მაღალი დონის.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საერთო ვადა განისაზღვრება 2018 წლის 26 ივლისიდან 2018 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტის საფუძველზე, საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.4.1. უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში, შეცვალოს იგი იგივე სახის და ფასის ხარისხიანი საქონლით.
7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 26 ივლისიდან 2018 წლის 04 სექტემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას, მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	„მიმწოდებელი“ შპს „ფორმატი“
ქ. თბილისი. ზარათაშვილის ქ. #2 ტელ. 240-14-20 სს „თიბისი ბანკის“ ვერის ფილიალი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE76TB7505936030100001 საიდენტიფიკაციო კოდი 205170036	ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #4ა ტელ. 2 187 187 სს „თიბისი“ ბანკის ც/ფილიალი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE42TB 0600 0000 0246 7773 საიდენტიფიკაციო კოდი 204872575
გენერალური დირექტორი ESCO ესკო ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR 205170036 ვახტანგ ამბოკაძე	დირექტორი "FORMAT" TBILISI. GEORGIA 204872575 ვახტანგ გუგუნავა

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისა" და შპს "ფორმატს" შორის 2018 წლის 26 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების

დანართი #1

#	კოდი	პროდუქცია	ზომის ერთ	რაოდ.	ფასი	თანხა
	8.69147E+12	L831720 ფაილი გამჭვირვალი Leitz, A4X100, ხაოიანი, ℓ-4796	ცალი	8	13.00	104.00
1	8691498103230	Lc-103230 ბლოკნოტი A5, Writing pad, ზამბარით, 80ფ/#, Le Color, Lc-2012025/2	ცალი	5	4.50	22.50
2	8691498000201	Lc-000201 ბლოკნოტი A5, Kraft, ზამბარით, 120ფ/=, Le Color, Lc-2017105/1	ცალი	1	7.90	7.90
3	6921734931627	De-931627 ბლოკნოტი ტყავის A5, 96ფ/=, Deli, De-3162	ცალი	5	4.50	22.50
4	8606013565356	Lst-565356 ბლოკნოტი A5,100ფ/#, ზამბარით, black collection, Lst-565356	ცალი	5	4.30	21.50
5	8691498000188	Lc-000188 ბლოკნოტი A5, Kraft, ზამბარით, 120ფ/#, Le Color, Lc-2017105/2	ცალი	2	7.40	14.80
6	4750650420289	FO-420289 ჩასანიშნი წებოვანი, index, 12X44მმ. 5ფ. Forpus,FO42028	ცალი	5	1.10	5.50
7	4750650420388	FO-420388 ჩასანიშნი წებოვანი, index, 12X44მმ. 5ფ.Forpus,FO42038	ცალი	5	1.40	7.00
8	6921734990600	De-990600 ჩასანიშნი წებოვანი, 45X12მმ. 100ფ.Deli, De-9060	ცალი	5	1.60	8.00
9	6921734990648	De-990648 ჩასანიშნი წებოვანი, 44X12მმ. 5ფ.Deli, De-9064	ცალი	5	1.45	7.25
10	6921734990631	De-990631 ჩასანიშნი წებოვანი, 45X12მმ. 5ფ.Deli, De-9063	ცალი	5	1.10	5.50
		სულ				226.45

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი
გენერალური დირექტორი
ვახტანგ ამბოკაძე

შპს "ფორმატი"
დირექტორი
ვახტანგ გუგუნაძე